პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 3 აგვისტო № 179 (16919) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნობათები საქმეობლოს

ჩქარი ტემპით

ენგურჰესის ძალოვანი კვანძის სამმართველოში იქ, სადაც მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურს აშენებენ, ჩქარი ტემპით აწარმოებენ ენგურის სადინებელი სადერივაციო გვირაბის უკუთალის მობეტონებას, გამთანაბრებელი ჭაურის კედლების ლითონის ფურცლით მოპირკეთებასა და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

ჰიდროშენებლებმა და მემონტაჟეებმა დღეს დაიწყეს № 2 ჰიდროაგრეგატის სტარტორის სამონტაჟო სამუშაოები. მიწისქვეშა ჰესის მშენებლობაზე ცვლაში ორი ცვლის დავალებას ანაღდებენ მშენებლები: მეარმატურე ს. ჯანგაშვილი, გვირაბგამყვანები: ა. გიორგაძე, გ. ქანთარია, მებეტონე კ. რობაქიძე და სხვები.

ლ. ბარქაია.

ხილიც, სენაჟიც

მაიაკოვსკის რაიონის აშენებელ-მონტაჟორთა ორგანიზაციებმა საიუბილეო წლის სალეონიდის მიხედვით 598 ტონა კურკოვანი ხილი. მაიაკოვსკელებმა პიროდას დიდაჯ გადაარჩინეს ადამიანი 28 ოქტომბრის, ოთვის მოკრეფეს და სახელმწიფოს თანაფარდი 800 ტონა კურკოვანი ხილი.

დაწინაურდნენ ფერსათის ი. ბ. სტალინის სახელობის, დიმის სვერდლოვის სახელობის, წითელსენაჟის ფრუნზეს სახელობის, როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

რაიონში წლიური გეგმით სენაჟი უნდა დაემზადებინათ 3.500 ტონა, ფაქტიურად უკვე დამზადეს 4.068 ტონა.

სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვა და პირუტყვისათვის ეუბნიანი საკვების — სენაჟის დამზადება გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა ან. ჩარქსელიანმა.

საბჭოთა საქართველოს შრომითი მაჯისცემა

ბევრი დიადი ქვეყნის განვითარების ძირითადი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვა დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელიწადს და ამ საქმეში მასების ფართო მონაწილეობა საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურების მძლავრ სტიმულად გადაიქცა. მან საბჭოთა ადამიანებს ახალი შემოქმედებითი ძალა შთაბერა, სოციალისტური შეჯიბრების ჯერ არნახული გაქანება გამოიწვია.

როგორც ახლახან პრესაში გამოქვეყნებული ანგობებიდან ჩანს, რესპუბლიკის ინდუსტრიის მშრომელებმა პროდუქციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 94 მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით — ეს მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

დინამიკურად განვითარდა დარგები, რომლებიც ინდუსტრიის ტექნიკურ პროგრესსა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას განაპირობებენ. უპირველეს ყოვლისა ეს არის მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. არსებითად — 14 პროცენტით გაიზარდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სოჯახო საქონლის წარმოება. მაშასადამე, მშრომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილებანი უფრო კარგად იქნება დაკმაყოფილებული.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ხარისხობრივი მაჩვენებელი კოლექტივების ყურადღების ცენტრშია. ისინი ნაყოფიერად შრომობენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, კერძოდ, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 4,8 პროცენტით, რის შედეგადაც წარმოების მატების 70 პროცენტია მიღებული. ხაზი უნდა გაესვას ერთ არსებითს გარემოებას — პროდუქციის რეალიზაციის წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების 98,6 პროცენტმა.

საყურადღებოა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემები ფართო ფრონტით წყდება. საკმარისია ითქვას, რომ საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა აითვისეს და დაიწყეს დაახლოებით 40 ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვება, მათ შორის შვიდი სახეობისა — პირველად საბჭოთა კავშირში.

გაიზარდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება. პირველი ივლისისათვის 489 ნაწარმს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 12 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება.

ნახელმწიფო დავალებებს წარმატებით ართმევენ თავს ჩვენი სახელოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკები. მნიშვნელოვანი ძვრებია პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდის საქმეში. მატულობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მატებით აღინიშნება აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულების მონაცემები. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის ტემპები გვაკმაყოფილებდეს. ბევრი მეურნეობა სახელმწიფოს დაბალი ნაკვეთების, გაუსუქებელ პირუტყვს აბარებს, რითაც დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს საკუთარ თავსაც და რესპუბლიკასაც.

ეს მნიშვნელოვანი პრობლემა დადებითად მაშინ გადაიჭრება, თუ ხაზოგადოებრივ მეურნეობებთან ერთად ამ დიდ ლაშქრობაში აქტიურად ჩაებმებიან სოფლისა და ქალაქის მშრომელები, ვეტერობის, ქვების მრეწველობის მუშაკები, მოხუცები ახალგაზრდობა, რის შესახებაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი არაერთ თავის დადგენილებაში ამახვილებდა ჩვენს ყურადღებას. მითუმეტეს, ხაამისოდ დიდი შესაძლებლობები და გამოუყენებელი რეზერვებია.

უდავოდ ქების ღირსნი არიან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში საქართველოში უნდა მოიკრიფოს 1.673 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს დიდი და სპეციალ ამოცანაა, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში შავ ბიბოთა ჩაიზე მოთხოვნილების 95 პროცენტით დაკმაყოფილება ქართველ მეჩაიეთა სიპატიო ვალია. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ხეზონის დაწყებიდან 1-ლი აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 309.623 ტონა ფოთოლი, ანუ ნაშალელ ამავე პერიოდთან შედარებით 38.719 ტონით მეტი.

ქართველ მეჩაიეთა ისტორიაში დაიწყო ერთ ხეზონში დღემდე მოულწეველი სახალხო ლაშქრობა — 400.000 ტონა ჩაისათვის! რედაქციაში პლანტაციებიდან ყოველდღიურად შემოსული ცნობები უტყუარად მოწმობს, რომ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები დამჯერებლად დაუმტკიცებენ ყველას, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია.

განვლილი ნახევარი წელიწადი სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ხოციალური პროგრამების შესრულების მთავარი ეტაპია. მუშათა და მოსამსახურეთა თვეურმა ხელფასმა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების დამატებით 178 მანეთი შეადგინა და გაიზარდა 3,5 პროცენტით. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 10 პროცენტით. გაუმჯობესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ხაშმამხმარებლო საქონლითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით. განვლილ ნახევარ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების ხრულყოფის საქმეში, მშრომელთა დასვენებისა და კულტურული ბაზის განვითარებისათვის. პარტიის ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“ თანმიმდევრულად ხორციელდება.

ეს ფაქტები შეტყველებს: მილიონთა შრომა დამჯერებლად და განუხრელად აახლოებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას იმ ზღუდეებთან, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დაგვისახეს.

დღითი დღე სულ უფრო მრავლდება იმათი რიგები, ვინც უკვე შეასრულა წლიური დავალება და შიდა რეზერვების გამოვლინებით იბრძვის ხუთწლედში ორი ხუთწლედის დავალების გასანაღდებლად.

ვადაზე ადრე შესრულებულია შვიდი თვის ნახელმწიფო დავალებანი მრეწველობაში.

მაგრამ ჩვენი წარმატებები შეიძლებოდა გაცილებით უფრო უკეთესი ყოფილიყო, ყველა რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

სამწუხაროდ, ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ გაანაღდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, დასახული ასორტიმენტით მისი გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების დადგენილი დავალებანი, ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის ხათანადო ხარისხი, არღვევდნენ მიწოდების ვალდებულებებს. ზოგიერთი სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივები ვერ ართმევენ თავს ნახელმწიფო დავალებებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და დანერგვის საქმეში, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციები — ახალი საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების გადაცემას. პირველ ნახევარში მთლიანად არ შესრულებულა კაპიტალაქტამის, სამშენებლო აგურის, შამპანური ღვინოების, მოუხდელი რძის პროდუქციისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ნაწარმის გამოშვების გეგმა.

ახლა, როდესაც სახალხო მეურნეობაში საიუბილეო წლის მეორე ნახევარი დაიწყო, რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორც ამას საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა გვისახავს, შრომითი კოლექტივები გადააქცინონ მუშათა მსოფლიოველეურ-ზნეობრივი აღზრდის ნამდვილ ცენტრებად, ჩაუნერგონ მათ ისეთი თვისებები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ მუშას გადააქცევს პარტიის პოლიტიკის აქტიურ გამტარებლად, რომელიც მეათე ხუთწლედის პროგრამას აღიჭვამს, როგორც პირად, ღვიძლ საქმეს.

ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწორედ ამ პოზიციით, დეტალურად გაანალიზონ განვლილი სამეურნეო წლის შედეგები. საჭიროა გაიზარდოს მომთხოვნელობა იმ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ წარმოების რიტმული მუშაობას, არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას, არადამაკმაყოფილებლად ან სრულიად ვერ იყენებენ რეზერვებს წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციული განმტკიცებისა და იდეური ზრდისათვის. და როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე აღინიშნა, ჩვენ უკვე დღეს ვგრძნობთ კანონიერ ხიბლაყეს ყოველივე ამის გამო, რაც გავაკეთეთ, რასაც მივაღწიეთ.

სამეურნეო წლის პირველი ნახევრის წარმატებით დამთავრება ხრულიადაც არ ანელებს ხახალხო მეურნეობაში ზოგიერთი ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემის აქტუალობასა და სიმძაფრეს. პირქუთ, ეს პრობლემები და ამოცანები ეკონომიკის მასშტაბებისა და მისი ინტენსიფიკაციის ზრდასთან ერთად უფრო რთულდება, წამოიჭრება ახლები. ამიტომ მათი გადაჭრისათვის საჭიროა მართვის ყველა რგოლის მოღვაწეობის ხრულყოფა, მალიონთა შემოქმედებითი აქტიურობა, საქმიანადმი მათი ჭეშმარიტად მეურნეობრივი დამოკიდებულება.

ამყამად რესპუბლიკაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში პრაქტიკულად სულ უფრო ისხამს ხორცს ქ. ჭუთაისისა და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტების თაოსნობა — „ვიმუშაოთ საიუბილეო 1977 წელს ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი მშრომელთა კოლექტივები“. ეს თაოსნობა ფართოდ უნდა გავრცელდეს არა მარტო მრეწველობის სფეროში, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც — ტრანსპორტზე, მშენებლობაში, ხოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროში.

ბევრმა საწარმოო კოლექტივმა ალისრა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის შეასრულოს წლიური გეგმა. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა გაუწიონ დახმარება ხოფლის მშრომელთა კოლექტივებს, რათა ღირსეულად შეეგებონ დიდი ოქტომბრის იუბილეს, ხვავი და ბარაქა შემატონ ჩვენს ქვეყანას, უზრუნველყონ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

შუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა წარმატებით შესრულება არა მარტო ცალკეული კოლექტივების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის სახელის საქმეა.

ოქტომბრის შესაბჭედრად

ძვირფასი საჩუქარი

მახარაძის რაიონის ხოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობამ ჩინებული საჩუქარი მიიღეს.

ახლახან აქ ამუშავდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ქლორელას საამქრო. ქლორელას დამამზადებელი საამქრო ვეებერთელა სათბურს მოგვაგონებს, სადაც გრძელ აბაზანებში მზადდება ქლორელას ხუსპენზია. თვალში გეცემათ იდეალური სისუფთავე.

— ქლორელა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია წყალმცენარეთა სამყაროდან, — გვითხრა საამქროს უფროსმა ზაურ პატიაშვილმა, — იგი შეიცავს სხვადასხვა სახის 15 ვიტამინს, და ამინომჟავას, რომელიც აუცილებელია, როგორც ცხოველების ისე ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის. ქლორელას ფართოდ იყენებენ საკვებად მეცხოველეობაში: იგი 15-20 პროცენტით ზრდის ძროხის წველადობას, ხოლო ცხიმიანობას 30 პროცენტით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხოფელ ძიმითის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც წინათ წლობით ჩამორჩენილი იყო და ვერ ახერხებდა გეგმებს, ქლორელას გამოყენების შემდეგ ერთ-ერთი მოწინავე გახდა მახარაძის რაიონში. აქ ხორცის წარმოება 25, რძისა კი 15 პროცენტით გაიზარდა.

ხ. კილაძე.

ხურათებზე: ქლორელას საამქროს შესასვლელი; მზა პროდუქციის ტრანსპორტირება ფერმებში; ლაბორანტი კომკავშირელი ნ. პატიაშვილი; ქლორელას დამამზადებელი საამქრო.

ავტორის ფოტო.

400.000 ტონა ჩაისათვის!

აგვისტოში უნდა მოიკრიფოს ნი ათას ტონაზე მეტი!

ვაკრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ჩაის ფოთოლი!

ჩაის ფოთლის კრეფა 2 აგვისტოსათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები	აბსოლ. ვალდებ.	მოკრეფილია
აფხაზეთის ასსრ	75000	58000
აჭარის ასსრ	55500	45668
მახარაძე	70000	55789
ზუგდიდი	54000	39533
წალენჯიხა	25500	18650
გეგეჭკორი	21000	15619
ლანჩხუთი	19000	15624
ჩხოროწყუ	18500	14418
ჩოხატაური	11000	9004
ქ. წყალტუბოს ზონა	10500	8009
ცხაკაია	9800	7247
ქ. ტყიბულის ზონა	8800	6770
ხობი	8000	6413
წულუკიძე	8000	6127
სამტრედია	2500	1881
თერჯოლა	1050	905
ქ. ჭიათურის ზონა	980	607
აბაშა	900	553
ვანი	630	521
სულ რესპუბლიკაში	400660	311340

ჩაი გაუხეშდა, მკრეფავები არ ჩანან

ანუ როგორ დაიკარგა 200 ტონა ნედლეული

ოჩამჩირის რაიონის მეჩაიეებმა ახალი ვალდებულებით 28.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა დაამზადონ. დღეისათვის მოკრეფილია 21.660 ტონა ჩაის ნედლეული.

რაიონის ბევრმა მეურნეობამ უკვე შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა და ნედლეულს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში ბარებს. შესანიშნავ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს მოქმეის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი დ. ბიგვავა) სახელგანთქმულმა მეჩაიეებმა. საქმიანად გამოეხმაურნენ აჭარელ მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას და მათ ვალდებულება იკისრეს წელს სამშობლოს მიცემენ 2.820 ტონა ჩაის ფოთოლი. პირველი აგვისტოსათვის მოქეველებმა უკვე მოკრიფეს 2.400 ტონა ნედლეული, რაც 130 ტონით აღემატება წლიურ გეგმას.

მოქველებს როდი ჩამორჩენიან კიხდღის და მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები ი. მაქვაბია, ს. ჭარაია) და ხოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ზონინა).

წლიულს დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი ოჩამჩირელ მეჩაიეებს. მათ სიტყვა სამეფ რომ აქციონ, დიდი, დაბაღული შრომა მოუწევთ. მით უფრო ახლა, აგვისტოში, როცა პლანტაციებში ახალი ვალდებულების შესრულების ბედი წყდება.

სიმართლე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არსებული რეზერვების სრულყოფილად გამოყენებისათვის აქ ყველა ერთნაირად როდი იბრძვის.

ხოფელ ლაბრის კოლმეურნეები კეთილსინდისიერ შრომაში არაფის ჩამოუვარდებიან. აქაური მეთამბაქოეები მთელ აფხაზეთში არიან ცნობილი ჯერ მოსავლის მიღებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჩაის პლანტაციებს ასეთივე ყურადღებას როდი აქცევენ. წელს ლაბრის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ავედიანი) 245 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. დღეისათვის 236 ტონა მოკრეფილი, საეჭვო როდია, რომ აქ გეგმა შესრულდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ დიდი რეზერვები გამოუყენებელია, პლანტაციებში დიდძალი ნედლეული იკარგება. ამ სოფლის მესვეურები აუღელვებლად, მშვიდად შეჰყურებენ, როგორ უხეშდება ჩაის ნორჩი ფოთლები ყარგახნის მიტოვებულ უპატრონო პლანტაციებში. აქ ისეთი პლანტაციებიც კნაზეთ, სადაც წლევანდელ სეზონში კაცის ხელი არ მიჰკარებია, თავმინებებული ნაკვეთები ეკალბარდით და გვიმრით არის დაფარული.

— გადაუჭეშებული დუყები ამ პლანტაციებში მართლაც უამრავია. ამ მიზეზით აქ 200 ტონაზე მეტი ნედლეულია დაკარგული. ამას ამბობს ოჩამჩირის № 1 ჩაის ფაბრიკის მთავარი აგრონომი რ. სოლომკო და ამას არც კოლმეურნეობის ბრიგადირები კ. ტეკნეკიანი, ა. კესიანი, ს. საკიანი, პარტბიუროს მდივანი გ. მელქონიანი უარყოფენ.

— რა ვქნათ, — ერთხმად აცხადებენ ისინი, — მკრეფავები არ გვყოფნის, ყველა მეთამბაქოობაშია დასაქმებული.

ეს შეიძლება ნაწილობრივ ასეც იყოს, მაგრამ ჩაისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ კოლმეურნეობაში ძირითადად შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობისა და მექანიზაციის უყურებელყოფის ბრალია. ახლა, აგვისტოში, უამრავი საქმეა, მაგრამ კარგი მეურნე ის არის, ვინც ყველაფერს თავს მოაბამს.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ახალი ეტაპი დაუდგათ მეჩაიეებს. ოჩამჩირის რაიონის მეჩაიეებმა მთელი ძალები უნდა დარაზმონ ამისათვის, რომ აგვისტო დამკვრელურ თვედ გამოაცხადონ და სეზონის დამლევამდე მოკრიფონ ვალდებულებებით გათვალისწინებული 28.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ ვალდებულების შესასრულებლად ყველა რეზერვი უნდა აამოქმედონ, სიუჯეტის სამსახურში ჩააყენონ ყოველი ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

ი. გოგეჩია.

„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის მეგობრული შეხვედრა

ᲒᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეით თავის შვებულებას საბჭოთა კავშირში ატარებს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა კმაყოფილება გამოთქვეს ორი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების გამო. აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა ბეჯითად იმუშაონ, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის შესაძლებლობანი მოძმე ხალხების ინტერესებისათვის. ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ხანგრძლივი პერსპექტივით უმნიშვნელოვანესი მიმართულებების განსაზღვრა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმების, კოორდინაციისა და თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავების დროს.

გაიმართა ინფორმაციის გაცვლა სკკპ XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციის შესახებ. ე. გერეკმა აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ინტერნაციონალური მნიშვნელობა და თანამშრომლობის ეტაპობრივი ნინსიძეებს ატომური ბარაღის გავრცელების აღკვეთისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა აღნიშნეს, რომ ორი წლის წინათ ხელმოწერილი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი ყველა მონაწილე სახელმწიფოს ფუნდამენტური, ბომაგლისაკენ გამიზნული მოქმედების პლატფორმაა, რათა კონტინენტზე შეიქმნას კონფრონტაციისა და სამხედრო დაძაბულობისაგან თავისუფალი თანამშრომლობის ვითარება, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განუხრელად იარონ ამ გზით და, კერძოდ, ხელი შეუწყონ ბელგრადის შეხვედრის საქმიან, კონსტრუქციულ ჩატარებას.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა განიხილეს ევროპის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთი პრობლემა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის საუბარი, რომელმაც ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე, გულითადად და ბეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

გულისწყრომით გმობენ

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების მილიონობით წევრი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდად აღაშფოთა ცნობამ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნეიტრონულ ბომბს აწარმოებს.

საბჭოთა წითელი ჯვარი, ნათქვამია განცხადებაში, მოუწოდებს განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა აიკრძალოს ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ სახეობის იარაღი, მტკიცედ დაცულ იქნას ადამიანის ძირითადი უფლება — სიცოცხლის უფლება. (საკდესი).

სიახლენი

ახალმოსახლეობის მისამართია: ვირშულიშკესი

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ. მასობრივი ახალმოსახლეობა იზეიმეს ვილნიუსის ახალ საცხოვრებელ მასივში — ვირშულიშკესში. სახლთსახენებელი კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე ერთი დღით ადრე ჩაბარა მაღლივი საცხოვრებელი სახლი, დაამთავრა ქალაქის ახალი თანამეზაურის პირველი მიკრორაიონის მშენებლობა. აქ უკვე ჩასახლდა 10 ათასი კაცი.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად საყენესლოტაციოდ გადაეცა სავაჭრო ცენტრი, საბავშვო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოები.

მშენებლობა ვირშულიშკესში გაისად დამთავრდება.

მუშათა კადრების სამჰედლო

კიშინიოვი. მოსწავლეთა მიღება დაიწყო მოლდავეთის დედაქალაქში გახსნილ ახალ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ოთხასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი დაეუფლება კიშინიოვის მაცივრების ქარხნისათვის საჭირო სპეციალობებს.

ახალი სასწავლო წლის დამდეგისათვის კიშინიოვში კარს გახსნის კიდევ ერთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. იგი მშენებლებს მოამზადებს.

ახლა მოლდავეთის დედაქალაქში თოთხმეტი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, რომლებშიც ახალგაზრდობა თითქმის ას სპეციალობას ეუფლება. ყოველწლიურად ქალაქის სამრეწველო საწარმოები მიიღებენ დაახლოებით 4,5 ათას კვალიფიციურ მუშას, რომლებიც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემამ მოამზადა.

„როსია“ ხეზონს ხსნის

მოსკოვი. დედაქალაქის მსახიობების დიდი კონცერტით გაიხსნა ახალი სეზონი ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში „როსიაში“.

აქ მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს ბევრი საინტერესო შეხვედრა ელით. კონცერტების, თეატრალიზებული სანახაობების უმრავლესობა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის მომავალ დღესასწაულს ეძღვნება.

გაგრძელდება გასულ სეზონში დაწყებული მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა სანტგარიში კონცერტების სერია. ამ სერიის დამთავრებს სპეციალური პროგრამა „15-თა თანავარსკვლავედი“.

ძალზე საინტერესო იქნება კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ციმბირის ახალგაზრდა მსახიობები, მომღერლები, ინსტრუმენტალისტები, მოცეკვავეები.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

„პრავდის“ ფურცლებზე

საყოველთაო-სახალხო განხილვა

პროექტის განხილვა, როგორც ამის ადასტურებს ამ დღეებში გამოქვეყნებული საკონსტიტუციო კომისიის ცნობა, სულ უფრო დიდ გაქანებას იძენს და ათეულ მილიონი მოქალაქისათვის სახელმწიფოს, მართვაში აქტიური მონაწილეობის უნიკალურ სტატუტი გახდა. თავისი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებს, მხურვალე პატრიოტებსა და კომუნიზმის მტკიცე მშენებლებს, ინტერნაციონალისტებსა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველებს, საბჭოთა ადამიანებს ეს განხილვა თავიანთი ღვიძლი საქმედ მიაჩნიათ. ისინი აცხადებენ, რომ განსაკუთრებით ამაყობენ საშობლოს წარმატებებით, მხურვალედ უჭერენ მპარს „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ფიქრობენ ჩვენს ამოცანებზე, განსაზღვრავენ მშობლიური კოლექტივის წვლილსა და თავიანთ პირად წვლილს მათ გადაწყვეტაში.

მახსოვრივი განხილვის დროს, წერს გაზეთი მოწინავეში („საყოველთაო-სახალხო განხილვა“), **მშრომელთა თვალთახედვის არეშია პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის სხვადასხვა რგოლის პრაქტიკული საქმიანობა. საქმე ეხება აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ადამიანებს აწუხებს, გადაწყვეტელ ამოცანებს, ამა თუ იმ ნაკლოვანებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც, ასრულებენ რა სკკპ - ცენტრალური კომიტეტის პაციის პლენუმის მასალებზე 347 შეტყობინება გაგზავნეს. სამწუხაროდ, მიღებული პასუხი 57 პროცენტს შეადგენს. ეს, რა თქმა უნდა, არც თუ ისე კარგი მაჩვენებელია და სერიოზულ მიგვაჩნია ამას მიტი ყურადღება მიაქციონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და ორგანიზაციათა სამსახურმა.**

აღსანიშნავია, რომ **ყველაზე ცხარე** პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებულ შეტყობინებებზე პასუხები პროკურატურის ორგანოებიდან უფრო რეგულარულად მოდის. ეს იმის შედეგიც არის, რომ ამ საკითხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის პროკურატურა.

ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა გამოვლინებული დარღვევათა აღსაკვეთად და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ მას ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არბიტრაჟი ჩათვლის, რომ შეტყობინებაზე მიღებული ზომები არ უზრუნველყოფს გამოვლინებულ დარღვევათა აღკვეთა-აცილებას, ამაზე მთავარი არბიტრი და მისი მოადგილე აცნობებენ ზემდგომ ორგანოებს, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს მოახსენებენ. კარგად მოიქცა, მაგალითად, საერთიანება „ბორჯომის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც გვაცნობა, რომ პროდუქციის მყიდველებთან არასათანადო საფუძველ მასალის გაგზავნა, რამაც დიდ ზარალი მოუტანა ქვეყანას, ეკონომიკურ სანქციებს გამოიწვევ. ამ ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე ადგილზე ჩავიდა ინსპექტორი, ბრალეულ პირებს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა, ასევე ადგილობრივ ორგანოებს ინფორმაცია გაეგზავნა ამ ფაქტის შესახებ.

ასეთი ზომიერებისათვის არ-ბიტრაჟის ორგანოებს უფრო მეტი ძალა რომ ჰქონდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის გარშემო ზოგიერთი მოსაზრება გამოთქვათ.

სსრკ ახალი კონსტიტუციის პროექტის 162-ე მუხლი სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ეხება. იგი კარგად გამოხატავს ამ ორგანოების უფლება-მოვალეობას. ამასთან რამდენადაც მოქმედი დებულებით სახელმწიფო არბიტრაჟს ევალება განზოგადოს არბიტრაჟის ორგანოების მიერ განხილული დავის მასალების მიხედვით სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა და შეიმუშაოს წინადადებები მისი სრულყოფისათვის, მიზანშეწონილი იქნება სსრ კავშირის კონსტიტუციის III-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ორგანოებზე, **პირველი აბზაცის ბოლოს სიტყვების „სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს“ შემდეგ დაემატოს „სსრკ სახელმწიფო არბიტრაჟს“.**

ახლა ჩვენში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ დისციპლინის და კერძოდ სახელმწიფოებრივ დისციპლინის განმტკიცებას, რაც სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კანონის მთელი ძალის გამოყენების აუცილებლობაზეა ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ უმნიშვნელოვანეს დადგენილებაში ორკოტაჟის ოლქში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ სამართლებრივი სამსახურის როლის ამაღლების თაობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე მოხსენებაში იმ ორგანოთა შორის, რომელთაც ევალებათ ზუსტად დაიცვან საბჭოთა კანონების მოთხოვნები, პროკურატურა, სასამართლო, სახალხო კონტროლი და მათთან ერთად არბიტრაჟიც დაასახელა. ეს უაღრესად დიდ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფო არბიტრაჟის სისტემის ორგანოებს მათ წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების ადეკვატურად აღსრულების საქმეში. და ჩვენც მთელი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება უნდა წარვმართოთ იმისათვის, რომ ყველაფერი ეს ნდობა.

ვ. მაისურაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

ერთიანული მოწოდება

ძმობის ქვეყანა

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 69-ე მუხლის მეორე აბზაცი გვაცნობს: „სსრ კავშირი განსახიერებს ხალხთა ნებელობის სახელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით“.

...უკრაინაში, ბოგუსლავის რაიონში დავიბადე. ომის ქარტეხილმა დედასთან ერთად აბაშაში მიმიყვანა. ეს იყო 1942 წელი. აბაშელებმა — ქალებმა, მოხუცებმა და ბავშვებმა გულთბილად მიგვიღეს, ბინა მოგვცეს, ლუკმაპური გაგვიყვეს, მე ტრაქტორისტობა შემასწავლეს. მას შემდეგ „სპეციფიკაციის“ რაიონულ განყოფილებაში ვმუშაობ და მუდამ ამას ვცდილობ დავალებული პირნათლად შევასრულო.

„აბაშა ჩემთვის მეორე მშობლიური რაიონად იქცა. პატარა ბიჭი აქ დავიყვაკადე. მყავს ოჯახი,

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი თითოეულ საბჭოთა ადამიანს, განურჩევლად ეროვნების და წარმოშობისა, კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს ინსპირაციისთვის, რომ მან იშრომოს და იცხოვროს ნებისმიერ კუთხეში ჩვენი უზარმაზარი ქვეყნისა, სადაც ადამიანი ადამიანისათვის შორეულია რომ ამხანაგი, ძმა და მეგობარია.

ი. სტორჩაკი,
„საქსოფლტექნიკის“ აბაშის რაიონული განყოფილების მექანიზატორი.

ალზრდის საკითხებზე

ონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას და ალზრდის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა ონრის სასოფლო კულტურის სახლში ჩატარებული თეორიული კონფერენცია თემაზე „თუ კაცსა ლოთნა არი აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს მოხსენებები: პარტიის ონის რაიკომის ინსტრუქტორის ნ. ჩიკვილაძისა — „ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის ნ. კერესელიძისა — „ალზრდის მეთოდები და მორალური პრინციპები“, კომკავშირის ონის რაკომის მეორე მდივნის ი. ჯერესლიძისა — „სულიერი სიწმინდის ფასი“, სორის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ო. ურეკაძისა — „მშობელი მასწავლებლის დამპარე“ და პარტიის ონის რაიკომის მუშაკის მ. დემეტრაშვილისა — „ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა“.

დამსწრენი აქტიურად ჩაებნენ კონფერენციის მუშაობაში, მათ ორმად გააანალიზეს ახალი კონსტიტუციის პროექტის მთელი რიგი მუხლები.

უფრო მეტი გაკეთდება

რაც დრო გადის, უფრო მეტად იზრდება სახოგადოებრივი შრომის შედეგები, მეტი შემოსავალი აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, უყურადღებოდ არ არის სოფლად მცხოვრები თვითეული მშრომელის დამხმარე საოჯახო მეურნეობა. ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის მე-12 მუხლში. ეს უთუოდ საჭიროა, რადგანაც ამ სახის მეურნეობაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ პირადი მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი არაშრომითია, რადგანაც პროდუქტების ბაზარზე გაყიდვისას ფასებს ის განსაზღვრავს, ვინც იგი ბაზარზე მოიტანა. ეს სწორი არ არის: თუ ოჯახი თავისი შრომით, მისი ყველა წევრის აქტიური მონაწილეობით აწარმოებს პროდუქტს — ასეთი შემოსავალი არაშრომითი არ არის.

დროა უფრო ქმედითად დავეხმაროთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს იმაში, რომ პირადი შრომით საზოგადოებრივ მეურნეობაში და საეზოვე ნაკვეთიდან უფრო მეტი პროდუქტები აწარმოონ საზოგადოებისათვის და თავადაც დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება.

ლოლა ხარბედია,
ჩხოროწყუს ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე.

სასჯელის სიმკაცრე

ვფიქრობ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 49-ე მუხლი უფრო გაძლიერდება, თუ მას ასეთი რედაქციით დავამატებთ:

**კრიტიკისათვის დევნა და ფევეფრობა აკრძალულია და სისხლის სამართლის კანონმდებლობით უნდა დაისაჯოს. 61- ე მუხლს კი დამატებოს: მოქალაქენი — თანამდებობის პირები, რომელნიც სტალინურ ეპოქაში ფიზიკურ მიჯნურ ბრალდებულ ადამიანებს, ამ ოდენ ნაკლოვანებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც, ასრულებენ რა სკკპ - ცენტრალური კომიტეტის პაციის პლენუმის მასალებზე 347 შეტყობინება გაგზავნეს. სამწუხაროდ, მიღებული პასუხი 57 პროცენტს შეადგენს. ეს, რა თქმა უნდა, არც თუ ისე კარგი მაჩვენებელია და სერიოზულ მიგვაჩნია ამას მიტი ყურადღება მიაქციონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და ორგანიზაციათა სამსახურმა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცხარე პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებულ შეტყობინებებზე პასუხები პროკურატურის ორგანოებიდან უფრო რეგულარულად მოდის. ეს იმის შედეგიც არის, რომ ამ საკითხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის პროკურატურა.

ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა გამოვლინებული დარღვევათა აღსაკვეთად და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ მას ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არბიტრაჟი ჩათვლის, რომ შეტყობინებაზე მიღებული ზომები არ უზრუნველყოფს გამოვლინებულ დარღვევათა აღკვეთა-აცილებას, ამაზე მთავარი არბიტრი და მისი მოადგილე აცნობებენ ზემდგომ ორგანოებს, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს მოახსენებენ. კარგად მოიქცა, მაგალითად, საერთიანება „ბორჯომის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც გვაცნობა, რომ პროდუქციის მყიდველებთან არასათანადო საფუძველ მასალის გაგზავნა, რამაც დიდ ზარალი მოუტანა ქვეყანას, ეკონომიკურ სანქციებს გამოიწვევ. ამ ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე ადგილზე ჩავიდა ინსპექტორი, ბრალეულ პირებს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა, ასევე ადგილობრივ ორგანოებს ინფორმაცია გაეგზავნა ამ ფაქტის შესახებ სამართლებრივი სამსახურის როლის ამაღლების თაობაზე.

სსრკ ახალი კონსტიტუციის პროექტი ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტის“ კოლექტივი, რომლის მთავარი ამოცანაა — მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო სრულყოს გაშოშვებული პროდუქციის ხარისხი.

დღესდღეობით ქარხანაში გამოშვებული თვრამეტი დასახელების პროდუქციიდან შვიდი ხარისხის საპატიო ხუთკუთხა ნიშნით გამოდის. შრომის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვის გზით ნაწარმოს კოლექტივი ყოველნაირად ცდილობს სხვა ნაწარმიც ხარისხის ნიშნით გამოუშვას.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის ახალი პროექტია ხაყოველთაო-სახალხო განხილვით აღფრთოვანებულებმა აქ ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევს მიკანიტების მწებავთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც პირადი დამღის უფლება მოიპოვა. ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს საიუბილეოდ ხამშობლოს ორი წლის გეგმის შესრულება უპატაკოდ.

სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ბიჩილაშვილი, ნ. წითური, ა. თუმასიანი.

ბ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

...სიმღერა ჩვენ ვართ ყველაფერ

საქართველოს მწერალთა შეხვედრები სამხრეთ ოსეთის მშრომელებთან

მთის უხვი მზე მანქანებში მსხდომთ თვალსა გვჭრის. იგი ყველგანაა: გზაზე, ჭუჭებში, თვალებში. მისასვლელები, ყვავილთა თაიგულები... სახსრეთ ოსეთის მშრომელები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი მასპინძლობენ ძვირფას და სასურველ სტუმრებს — აკადემიციური ოლქის მშრომელებთან საქართველოს მწერალთა შეხვედრის მონაწილეებს, რომელიც 29 ივლისს დაიწყო.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ცხინვალში, რათა დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს წინ ეთქვათ ახალი სიტყვა მეგობრობისა და ძმობის შესახებ, რათა ერთხელ კიდევ შეეჯერებინათ ჩვენი ლიტერატურის კურსი ლენინის პარტიის კურსთან, გამოეკვლიენებინათ ქართველი და ოსი მწერლების ნაყოფიერი ურთიერთობის ახალი შესაძლებლობანი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ცნობილი პოეტები, კრიტიკოსები, პროზაიკოსები. ცხინვალში ჩამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. აბაშიძე, კავშირის გამგეობის მდივნები ი. ნონეშვილი, გ. ციციშვილი, გ. ყორდოლიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების ლიტერატურის სექტორის გამგე რ. მიმინოშვილი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა, პოეტები ჯ. ჩარკვიანი, ნ. კილასონია, ვ. გორგანელი, ა. გომიაშვილი, რ. მარგიანი, მ. ფოცხიშვილი, თ. ჯანგულაშვილი და სხვები. „ლიტერატურების მეგობრობა ხალხთა მეგობრობაა“ — ასეთია ამ შეხვედრების დევიზი, რომლებიც ნათელ ფურცლად ჩაიწერება ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მატიანეში.

შეხვედრის მონაწილეებმა გვიჩვენეს ბიან შეიმკეს ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი. ყვავილებით შეიმკეს ალრეთვე დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ობელისკი.

სტუმრები იყვნენ ქალაქის წამყვან სამრეწველო საწარმოებში, ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან.

იმავე დღეს ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქართველი და ოსი მწერლების მეგობრობისა და ძმობის საღამო.

— შესანიშნავი და ნათელი გრძნობა — ერთიანი ოჯახის გრძნობა ანათესავებს და აერთიანებს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხს, — თქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, რომელმაც შეხვედრა გახსნა. — დღეს, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის წინ ამაზე განსაკუთრებული გრძნობით ვფიქრობთ. ჩვენი შეხვედრა დიდი ოქტომბრით შეკავშირებული ჩვენი ხალხების მეგობრობის დიადი და ნათელი ზეიმია, მოძმე ლიტერატურების ზეიმია.

ამ ლიტერატურების უმნიშვნელოვანესი თვისებები — დიდი ჰუმანიზმი, ძმური ერთიანობის გრძნობა, ნათლად აისახა კოსტა ხეთაგუროვის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სეკა გადიევის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ელბაზდიყო ბრიტაევის, გიორგი ლეონიძისა და ბევრ სხვათა უკვდავ ნაწარმოებებში. ამ შესანიშნავ ტრადიციებს დღეს კელავაც ავითარებენ ჩვენი საუკეთესო პოეტები და პროზაიკოსები, ახალგაზრდა მწერალთა ნიჭიერი თაობა. საგულისხმოა, რომ ახლანდელი შეხვედრა მიმდინარეობს იმ დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით იხილავს ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. რამაც ახალი იმპულსი მისცა მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას მჯათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო აღმასკომის სახელით ფ. სანაკოევი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და გამოთქვა რწმენა, რომ ქართველ მწერალთა შეხვედრა ოლქის მშრომელებთან ახალი ძალით ცხადყოფს ქართველი და ოსი ხალხების, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის უდიდეს ძმობას.

საპასუხო სიტყვაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ აღნიშნა, თუ რა ტრადიცია აქვს ორი ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობას, რომელმაც ახლა ახალი შინაარსი შეიძინა. ქართველი მწერლები, თქვა მან, თავის მეგობრებს ხვდებიან იმისათვის, რომ შეაჯამონ გაწეული მუშაობის შედეგები, დასახონ ლიტერატურების შემდგომი განვითარების, ქართველ და ოს მწერალთა ძმური თანამშრომლობის გაფართოების გზები.

დარბაზში გაისმა დიადი მეგობრობისადმი მიძღვნილი ქართველთა და ოსი პოეტების ლექსები. შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჩ. ციციშვილი, მწერალი მ. ელიოზიშვილი. სტუმრებმა გულთბილად მიესალმნენ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ი. გაგლოევი, ზნაურის რაიონის სოფელ ავნეკის დავით გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ჭიღლაძე, ლენინგორის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე მ. ჩიტიშვილი და სხვები.

გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოლქის ხელოვნების ოსტატები.

30 ივლისს მოეწყო საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისა და სამხრეთ ოსეთის განყოფილების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ოსური ლიტერატურის განვითარების პრობლემები.

კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ჯ. მარგიევმა დაასახელა ოსური ლიტერატურის განვითარება თანამედროვე ეტაპზე, ილაპარაკა ჟურნალ „ფიდიუკაგის“ და „ირისტონის“ მუშაობის შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ნ. ჯუსოითი, მწერალი რ. ჩოჩიევი, ჟურნალ „ფიდიუკაგის“ რედაქტორი ვ. გაგლოევი, საქართველოს მწერალთა კავშირთან, ანსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ო. ნოდია, პოეტები ნ. კილასონია, რ. თედეთი, მ. ფოცხიშვილი, ი. პლიევი, ჯ. ჩარკვიანი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაა“ მთავარი რედაქტორი, კრიტიკოსი გ. ასათიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები გ. ციციშვილი და ი. ნონეშვილი.

ჯ. გაბარაევი,
ს. ჩიაევა,
(საქინფორმის სპეც. კორ.).

ოფიციალური განყოფილება

საკავშირო ფონდში

რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის **პროდუქტების** დამზადებისა და საზოგადოებრივ ფონდში მათი გაგზავნის **პროცესი** გაეაჯოჭისა დამზადების ახალმა ფორმამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის **პროდუქტების,** კერძოდ, ტურკოვანი ხილის დამზადებას და მათ გაგზავნას საზოგადოებრივ ფონდში. ახლახან მიღებულ დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ **რესპუბლიკის** პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, დამამზადებელი ორგანიზაციები ბითვისებენ ტურკოვანი ნაყოფის წარმოებისა და **დამზადების** ეადიდების **მთელ** არსებულ **რესურსებს,** წარმატებით შეასრულებენ **დაკისრებულ** ამოცანებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის **პროდუქტების** დამზადებისა და რეალიზაციის **სამმართველო** გვაცნობებს, თუ როგორ მიმდინარეობს მიწათმოქმედების **პროდუქტების** დამზადება **რესპუბლიკაში** 31 ივლისის მდგომარეობით. ბოსტნეული დამზადებულია 104.560 ტონა, წლიური გეგმით კი გათვალისწინებულია 285 ათასი ტონის დამზადება. გადაჭარბებით შესრულდა კომბოსტოსა და საადრეო კარტოფილის დამზადების დავალებანი, მატულობს კიტრის, პამიდორის, ტურკოვანი ხილის, ბალჩეულის კრეფის ტემპი.

სოფლის მეურნეობის **პროდუქტების** საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნის ცხრილი ასეთნაირად გამოიყურება. **(ტონობით)**

	გეგმა	გაგზავნა
სულ ბოსტნეული	35.200	38.305
აქედან		
კომბოსტო	35.000	37.000
ხახვი	—	305
კიტრი	200	1.000
ტურკოვანი ხილი	5.000	4.256
კარტოფილი	30.000	34.790

(საქინფორმი).

ჩვენ ბავშვებს — საერთო ყურადღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ვაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხების მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. რაგვაჟას მოხსენება „ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების თაობაზე“. კომისიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, ავტონომიურ რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, ცეკავშირის სისტემამ, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რათა შეესრულებინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის 1975 წლის 11 სექტემბრის დადგენილება, რის შედეგადაც რამდენადმე გაუმჯობესდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო დახმარება, მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება და სურსათით მომარაგება.

მეტი ყურადღება ეთმობა ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. გაიხსნა ახალი ბავშვთა საავადმყოფოები, რეკონსტრუირებული და შეკეთებული ბევრი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

საგრძნობლად ამაღლდა სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონე.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

განხილული საკითხის გამო მიღებულია დადგენილება.

მუდმივი კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ი. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ს. ჭანგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პატრიოტულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამამზადებლებს სამოც წლეულთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური სამსონის ძე ჭანგა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. ბილასვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 28 ივლისი.

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

ხალხთა უფლებების დიდი ქარტია

ინდოეთის საზოგადო მოღვაწენი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ

არუნა ასაფ ალი,
სრულიად ინდოეთის ქალთა ფედერაციის პრეზიდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

— **საბჭოთა** კონსტიტუციის პროექტი მთლიანად შეესაბამება ევოლიუციურ ადამიანთა მისწრაფებებს, პიროვნების განვითარების დიდ შესაძლებლობას უქმნის მათ. მთელი მსოფლიოს მშრომელებს ეს დოკუმენტი მიანიშნებს ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიად, რომელიც სიტყვიერი კი არა, საქმით უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას.

ცხოვრების ყველა სფეროში მამაკაცთან ქალის თანასწორუფლებიანობის დებულების გარეშე, ეება კონსტიტუციის პროექტში ოფიციალურად ორ მარტო საბჭოთა ქალებს, არამედ მათ ლებსაც ყველა კონტინენტზე. ბალეთიდან, სოციალური უზრუნველყოფის დარგში კანონით დაგენილი ის გარანტიების ნუსხა, ომლებთაც ისარგებლებენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ეშმარიტად ყოველისმომცველია. ავადმყოფობის ან შრომის უნარის ეკარგვის შემთხვევაში დახმარების უფლება, პროფესიის არჩევის უფლება, გარანტირებული საგალდებულო საყოველთაო საშუალო სწავლება, პროფესიონალურის ჩათვლით, და, ბინის გარანტირებული უფლება — ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სოციალიზმი უტოპიური ოცნება კი არ არის, არამედ ცხოვრების წესია მთელი თავისი რეალობით.

მოჯიტ სენი,
ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

— საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი უდიდესი ისტორიული წვლილია მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მსოფლიო ბრძოლაში.

კონსტიტუციის პროექტი და მის შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება თვალნათლივ გვიჩვენებს, რაოდენ ღრმა ხასიათისაა სოციალისტური დემოკრატია, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება და ვითარდება. იგი ჩინებულად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ფართო მასებს მხოლოდ სოციალიზმის დროს შეუძლიათ ისარგებლონ სრული თავისუფლებით და ყველა დემოკრატიული უფლებით.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი მოიცავს უმაღლეს პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობას — ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

დ. პ. სინგჯი,
ადვოკატი, ინდოეთის პარლამენტის (ზედა პალატა) წევრი.

— კონსტიტუციის პროექტში ცალკე თავის ჩართვა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, ჩემი აზრით, ფრიად საგულისხმო ფაქტია, სსრ კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის საკანონმდებლო დადგენა, რაც გულისხმობს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების გამტკიცებას, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერას, აგრესიული ომების თავიდან აცილებას და სხვადასხვა სოციალური წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას, დროულად გაისმა იმ მომენტში, როცა დასავლეთში ზოგზოგები კვლავ ცდილობენ ყალბად წარმოგვიდგინონ და ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა ხალხის მიზნებს, ამოცანებსა და თანამიმდევრულ ღონისძიებებს მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. (აას).

ყრილოგამ დაგმო

მადრიდი, 1 აგვისტო. (საკ. დესის კორ.). აქ გაიმართა მშრომელთა საყოველთაო საბჭოს — ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი დემოკრატიული გაერთიანების საგანგებო ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა გაანალიზეს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა და მთავრობის მიერ ამას წინათ შემუშავებული ეკონომიკის მდგომარეობის სტაბილიზაციისა და უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებანი.

მიღებულ რეზოლუციებში ნათქვამია, რომ ქვეყანა განიცდის სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს და რომ ამ კრიზისის ძირითადი სამძიმე აწვება შრომელებს. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი უწინარეს ყოვლისა შემუშავებულია მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა ინტერესების საკეთილდღეოდ. დელეგატებმა განიხილეს, რომ არ ეთანხმებიან მთავრობის განზრახვას შეზღუდოს ხელფასის ზრდა. და აღნიშნეს, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში ამგვარი ღონისძიება ხელფასის გაყინვას უდრის.

ყრილობამ აგრეთვე „აბსოლუტურად არასაკმარისად“ ცნო მთავრობის ღონისძიებანი უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში.

პალესტინის სარდლობასთან შეთანხმებით

ბეირუთი, 1 აგვისტო. (საკ. დესი). ლიბანში დაიწყო კაიროს შეთანხმების პროგრამის განხორციელება, რომელიც ლიბან-პალესტინის ურთიერთობას აწესრიგებს. ლიბანის, სირიისა და პალესტინის წინაალმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელთა თათბირზე ქალაქ შტორაში ამას წინათ მიღებული ეს პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის მდგომარეობის ნორმალიზაციას.

პალესტინის წინაალმდეგობის მოძრაობის სპეციალური კომისია და არაბთა სახელმწიფოების მშვიდობის მხარდაჭერის ძალების, აგრეთვე ლიბანის ხელისუფალთა წარმომადგენლები განსაზღვრავენ პალესტინის ბანაკების საზღვრებს, ქმნიან პალესტინის მილიციას, რომელიც პასუხს აგებს წესრიგისათვის ამ რაიონებში. პალესტინელთა ყოველ ბანაკთან იქმნება არაბთა სახელმწიფოების ძალების საკუშაოები, რომლებიც თავიანთ მოქმედებას უთანხმებენ პალესტინის სარდლობას. ბანაკების დაცვა დაეკისრათ არაბთა სახელმწიფოების ძალებსა და ლიბანის სამხედრო ქვეგანაყოფებს.

ახალი იმპულსი

ბელგრადი, 1 აგვისტო. (საკ. დესი). უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ევროპის კონტინენტზე მოვლენათა განვითარებამ თვალსაჩინოდ ცხადყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ქმედითობა. ეს განაცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ბ. ვორონცოვმა ბელგრადის შეხვედრის მოსამზადებელი ეტაპის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც შეეხო სრულიად ევროპის თათბირის მეორე წლისთავს.

ჰელსინკის მორიგებებმა, თქვა მან, გააფართოეს ევროპის კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების შესაძლებლობა. სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთაგან ბევრმა ადგილობრივ ინიციატივებსა და ბელგრადში მზადდება, ახალი იმპულსი უნდა მისცეს ამ ნაყოფიერ ტენდენციას, განვრცოს და განავითაროს ჰელსინკის სულისკვეთება, კიდევ ერთი რგოლი გადადეს დაძაბულობის შენელების პროცესში.

ასე აღნიშნავენ ბეკინგში იუგილეს

პეკინი, 1 აგვისტო. (სააგენტო). პეკინში პუა გო-ფენის თავმჯდომარეობით გაიმართა მიტინგი ჩინეთის არმიის 50 წლისთავის გამო. მიტინგზე იყვნენ ხელმძღვანელები. სიტყვა წარმოთქვა თავდაცვის მინისტრმა ე ძიან-ინმა. მისი სიტყვა ალსავსე იყო მოწოდებებით, რომ კიდევ უფრო გაძლიერონ ქვეყნის მილიტარიზაცია, განავითარონ სამხედრო ტრენინგები, დაარქარონ არმიის „რევოლუციონიზაცია“ და მოდერნიზაცია. მან კვლავ გაიმეორა მაო ძე-დუნის „სახალხო რომის“ კონცეფცია, რომელიც, როგორც თავდაცვის მინისტრმა თქვა, უნდა ითვალისწინებდეს არისკაცებად მთელი ერის გადაქცევას, საველე არმიების, ადგილობრივი შეიარაღებული ძალებისა და მინბინების შენაერთების „შეზამების სისტემის გამოყენებას“.

ეს სიტყვა მოწმობს, რომ პეკინის ლიდერები აპირებენ კვლავაც მთელი ყურადღება დაუთმონ ომის გაძლიერებასა და ქვეყანაში „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ ვითარების შექმნას, რათა ჩინელი ხალხის ყურადღება ჩამოაშორონ იმ მატერიალურ სიძნელეებსა და გაჭირვებას, რომლებსაც იგი მრავალი წელია განიცდის.

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სიტყვაში თავდაცვის მინისტრმა გაიმეორა მაოისტური „სამი სამყაროს“ თეორიის დებულებანი და ჩვეულებრივი ცილისწამება საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მიმართ.



ობიექტივშია ბულგარეთი

ქალაქ სოფიის ცენტრალური სადისპეტჩერო პულტი აღჭურვილია უალრესად მაღალ ტექნიკურ დონეზე. მრავალრიცხოვანი სატელევიზიო პანორები, სატელეფონო და რადიო-სატელეფონო დანადგარები განუწყვეტლივ და დაუღალავად მუშაობენ ქალაქში მოძრაობის სამართავად. აქ ყოველთვის იციან, რა კეთდება დედაქალაქის ქუჩებში, წარმოებს განუწყვეტელი კონტროლი ყოველივე იმაზე, რაც ხდება, და საავარიო და სპეციალური მანქანების განაწილება.

იქ, სადაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში უსასტიკესი ბრძოლები წარმოებდა, სადაც ათასობით რუსმა და ბულგარელმა მეომარმა სისხლი დაღვარა და თავი დასდო შიპკის უღელტეხილის დასაცავად, ამჟამად იგება შუამბეჭდავი მონუმენტი 31,5 მეტრი სიმაღლის „თავისუფლების ძეგლი“ გენერალ სტოლეტოვის სახელობის მწვერვალზე.

კრშმ იანევის ფოტო (სოფია პრესის სააგენტო).

ჟოვეღი ესრიდან

ახალი წარმატებები

● **ბელგრადი.** იუგოსლავიამ ახალ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სტატისტიკური სამმართველოს აქ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში სამრეწველო წარმოების მოცულობა ქვეყანაში 12 პროცენტით გაიზარდა. ეს აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ

● **ბონი.** გერმანელთა კომპარტიის მეხუთე ყრილობის საქალაქო კრების ფრაქციამ ღია წერილი გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქალაქო კრებებისა და თემთა საბჭოების ფრაქციებს, რომელშიც მოუწოდებს მათ პროტესტი განაცხადონ ამერიკული ნეიტრონული ატომური იარაღის წარმოებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი განლაგების წინააღმდეგ.

ოქროს პალმა — საბჭოთა მხატვრებს

● **რომი.** იტალიის ქალაქ ბორდიგერაში იუმორისტული ნახატის 30-ე საერთაშორისო სალონის პირველი პრემია — „ოქროს პალმის რტო“ მოიპოვა საბჭოთა კარიკატურისტმა ვალენტინ როზანცევმა. კარიკატურისტთა ამ უდიდეს საერთაშორისო კონკურსზე წარმოდგენილი იყო ათასზე მეტი იუმორისტული ნახატი.

კვირეულის ფურცლები

პიტერსი ბედნიერების ეძებს

მწერალი ილია რუსუა თითქმის ერთი წელიწადი იმუშაებოდა საბჭოთა სამგზავრო ფლოტის საფლაგმანო გემ „მაჭსიმ გორკიზე“, შემოუარა დედამიწას, მოინახულა მსოფლიოს 40-მდე ქვეყანა.

ამჟამად მწერალი მუშაობს წიგნზე, რომელშიც მოთხრობილი იქნება ქართული ზღვაოსნობის წარსულსა და დღევანდელობაზე, ჩვენს სახელოვან მეზღვაურებზე. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ თავს მომავალი წიგნიდან. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ, რა კანონებზეა აგებული ადამიანთა ურთიერთობა დასავლეთის პროპაგანდის მიერ ესოდენ ნაქებ „თავისუფალ სამყაროში“.

პიტერსი ერთადერთი პოლანდიელია ჩვენს გემზე.

პოლანდიელი ყოველთვის სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი, ალბათ ქვეყნის დიდი მხატვრების მსუყე ფუნჯის მეოხებით. პიტერსი ერთი გაწიკეული, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცია. ხმელ, ჩამოდევნილ სახეს თითქმის მთელ სიგრძეზე აზის ბოლოსკენ წამოპარული კეხიანი ცხვირი. ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი მისი ფყლისფერი თვალები მორიდებით და ნაღვლიანად შემოგცქერით. ამ მკაცრ, თიმიქმის ულამაზო სახეს საოცარ მიმზიდველობას ანიჭებს ჩალისფერი თხელი ულვაშით ჩამორკალული, ბავშვურად შეღებული ტუჩები, ზედ თავშეკავებული რბილი ღიმილი რომ დასთამაშებს.

პიტერსი ერთ-ერთი პატარა მაღაზიის გამყიდველი გახლავთ. ერთ-ერთი მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს საოჯახო ლაინერს მთელი სავაჭრო რიგია გამართული მდიდრული მაღაზიებისა. პიტერსი გემის დამფრახტაგ-დამქირავებელი ფირმის ადმინისტრაციის, ეგრეთწოდებული „სტაფის“ მუშაკად ითვლება. „სტაფის“ მთელი შემადგენლობა საგულდაგულოდ არის შერჩეული. ერთმანეთზე მოზიზვლელი გარეგნობის ახალგაზრდები დღედაღამ მდიდარი ტურისტების საზოგადოებაში ტრიალებენ, სალონებისა და რესტორან-ბარების ატმოსფეროს სული და გული არიან. ელიტარავგანტურ კაბებსა და მოდურ კოსტიუმებს წარამარა იცვლიან და „ოქროს ახალგაზრდობის“ ყინს ყოველნაირად იკლავენ.

ერთადერთი, ვინც მათ გამოთიშვია, პიტერსი გახლავთ. ამის მიზეზი მარტოოდენ პოლანდიელის მორიდებულება და გულჩახვეულობა არ უნდა იყოს. რაც მასსოვს, ელვეტის ერთი მოჩვარული კურტაკი და გაცრეცილი ჯინსის შარვალი აცვია. ტრიკიანების სიცხეშიც ვერ შელეგია ქრომის ყავისფერ, მაღალქუსლებიან ნახევარჩექმებს. სამეჯლისო საღამოებსა და კარნავალებზე ერთხელაც არ დამილანდავს. ბუსიკალურ სალონ „როსიაში“ თუ შემოვა ხანდახან და ეგ არი. აიღებს ერთ ბოთლ ჰოლანდიურ ლუდს ან „კოკა-კოლას“ და სავსტრადო ანსამბლისათვის განკუთვნილ კუთხეს მიაშურებს. ჩვენი „ოროველას“ ბიჭები ყოველთვის გულღიად ხვდებიან პიტერსს და ისიც, სავარძელში ფეხიფეხზე გადადებული, საუბარსლობად იღიმება მათს უწყინარ ხუმრობაზე.

ერთ საღამოს მაინც ძალიან უკუნებოდ მეჩვენა.

— რაშია საქმე, ჰოლანდიელო! — წავუთათუნე ხელი მკლავზე და მის პირდაპირ საკარძელში ჩავჯექი. პიტერსმა არაფერი მიპასუხა, ოატომდაც თავი მიაბრუნა და თვალები ამარიდა. „ოროველას“ მომდერალმა ნათელა იოსებიძემ, რომელიც ჩვეულებრივ თარჯიმნობას გვიწევს ხოლმე, რაღაც მანიშნა და მეც არაფერი შევიმჩნიე. პიტერსი კიდევ ერთხანს ოჯდა ასე, ფიქრებში წასული.

— საბრალო ბიჭი! — ჩათუთქული ხმით ჩაილაპარაკა ნათელამ, როგორც კი ჰოლანდიელი წავიდა. — შინიდან, ეტყობა, ძალიან ცუდი ამბები მოსდის.

— დედამისს ხომ არაფერი შეემთხვა?

— არა. ახლა კარგად ყოფილა... უფრო საცოლის ამბავია... როტერდამში გადასული საცხოვრებლად და ამას განიცდის — იქ რა ესაქმებაო. წამოსცდა კიდევ, ჩემი ილუზიები ისსხვრევაო.

მენიშნა, რადგან ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრება მართლაც ილუზიებზე აგებული ჩანდა.

პიტერსისგანვე ვიცოდით, რომ როტერდამის მახლობელ რომელიღაც სოფელში იყო დაბადებული. გამრჯე, შეძლებული მშობლები ყოფილა: კარგად გამართული ფერმა გვაქვს, ორსართულიანი სახლი ვენიგასთ. უმაღლესი განათლებაც მიუღია როტერდამში. ახალგაზრდა ფიზიკოსს პროფესიის შესაფერისი საქმე ვერ უშოვია და ვიღაც ფოტოგრაფს მიჰკედლებია ლაბორანტად. მალე დარწმუნებულა, რომ პორნოგრაფიული სლაიდების იმედით შორს ვერ წავიდოდა. ვიღაცას დასმარებით, საზღვაო ტურისტულ ფირმაში მიუღიათ და უკვე წელიწადზე მეტია ჩვენს გემზე იმყოფება, ჯერ კიდევ ამერიკული კრუიზების დროიდან. პიტერსს გადაუწყვეტია გემზე ცოტა ფული დაგროვოს, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდეს მასწავლებლად და ოჯახს მოეკიდოს. ერთხელ, საცოლის ფოტოსურათებიც ვადმოუვიდა მაგიდაზე: საკმაოდ სიმპათიური გოგოა. უნაკლოდ ტანჩამოსხმული.

— მერედა რატომ არ თხოულობ? — ჩავეძიეთ შეყვარებულ ახალგაზრდა კაცს, — ბავშვობიდანვე შეთვისებიხართ ერთმანეთს. სასულ-ჯარი და ფერმაც კარგი გქონია.

— მქონია? — გაიკვირვა პოლანდიელმა. — მე არაფერიც არა მაქვს. ყველაფერი ბამაჩემისაა.

— როგორ, წილი?!

— ჩემი ის იქნება, რასაც გამოვიყიდი... ჯერჯერობით ერთ ოთახსაც ვიკმარებ.

— საკუთარი მამისაგან უნდა გამოისყიდო, მაშასადამე?

თავი დაგვიქნია.

ვერ მოვახსენებთ, რა მორალური და იურიდიული კანონები აწესრიგებს ასეთ ურთიერთობას, მაგრამ ქართველებს ეს დიდ უმეცრობად გვეჩვენა. ჩვენში ხომ ღმობლები ეადამკვდარი არიან შვილებზე. იქნებ ზედმეტად, უსაშველოდ, მაგრამ ეს გულის სიკეთით მოსდით....

პიტერსს დიდად არც ახალი საქმე უმარილებს იმედს. ტურისტულ კრუიზებში საჭირო და აუცილებელი საგნები მის მაღაზიაში თითქმის ხელუსლებლად აწყვია. თადარიგიანი გემმანელები, ეტიყობა, ყოველმხრივ მომზადებული შესდგომიან დედამიწის ირგვლივ მგზავრობას. ჰოლანდიელს ახლა ერთი პატარა ბიზნესის იმედიდა



აქვს: წყნარი ოკეანის კუნძულებზე იაფად ყიდულობს იაპონიიდან უბადოდ შემოტანილ რადიო და ფოტოაპარატურას, რათა სამშობლოში დაბრუნებულმა, ხელსაყრელად გასაღოს. ოღონდ ჯერაც არ იცის, როდის დადგამს ფეხს ჰოლანდიის მიწაზე და იმ დროისათვის რა ფასი დაედება მთელ მის ავადიდებას. ასეა თუ ისე, პიტერსი გრომს გრომზე აწვიებს, ფეხები საზამთრო ფეხსაცმელში ეხარშება, რათა მშობელი მამისაგან ერთი ოთახი მაინც გამოისყიდოს და შიგ თავისი პატარა ოჯახური ბედნიერება დაადგინოს.

ჩვენებური ანდაზა — გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, — ეტყობა, ჰოლანდიელზეც ვრცელდება. ისე ჰგავს, ბედნიერების კართან მომდგარ პიტერსს, ილუზიების მსხვრეული ყამი დაუდგა.

მაინც რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

ერთი აზრი თუ ვარაუდი ამეკვიატა და თავიდან ვერ მოვიცილე: როტერდამის ქუჩებში რომ დადგიხარ, დავრწმუნდი, რომ ამ მშვენიერი, შრომით აყვავებულ ქვეყანაშიც შეუღწევია პორნოგრაფიულ ბუმს. თითქმის ყოველ კაფეს და ღამის კლუბში ატრიალებენ ბილწ ფილმებს. რიგიან კაცს გაუჭირდება თვალი გაუსწოროს ვიტრინებს. წაყწადებით სექსის სპეციალიზებულ სალონ-მაღაზიებსაც. წარმოიდგინეთ, აქ იყიდება ტონირებული რეზინისაგან შეკოწიწებული ხატებები საქვეყნოდ ცნობილი ულამაზესი კინოვარსკვლავების. აარჩევ, რომელსაც გინდა, გაბერავ და რეზინის უსიცოცხლო ნაჭრებში ჩაინებული ნაკვეთები ივსება შენს თვალწინ. გადაიწვინე მკლავზე და ინებივრე რამდენიც გინდოს.

ეს კიდევ რა!

ამერიკაში, ბალტიმორის ერთ-ერთი პორნოგრაფიული მაღაზიის ვიტრინა მცირეწლოვანი გოგონების ღამის კლუბს უწევდა რეკლამას, დაედიშობილა ათი-თორმეტი წლის გოგონებთან ყოველად უტიფარ პოზებში გადაღებული არიან მამაკაცები, რომლებიც ამ ბავშვებს ასაკით პაპებად მოუვათ. „ჯენტლმენებს“ თვალებზე შავი ნიღბები აქვთ აფარებული, ესაო და სირცხვილის გრძნობა სულ როდი დაგვიკარგავსო.

ასეთ რამეებზე თუ ვინმე აღშფოთდა, პასუხი გამზადებული აქვთ: ჩვენ თავისუფალ სამყაროში ვცხოვრობთ!

და პიტერსიც ცხოვრობს ასეთ საზოგადოებაში, თუმცა მისი სუფთა, ხალხურად ჯანსაღი მორალისათვის ბევრი რამ უცხოა და მიუღებელი.

— პიტერს, — ვეუბნები ერთხელ. — შენს ხალხს საოცრად უყვარს შრომა, ხილამაზე. ამაყი და მშვენიერი ტიტა ქვეყნის ემბლემად გაგიხდიათ... და ამის გვერდით როგორ ითმენთ ასეთ რამეებს?

— რატომ მეკითხებით? — შეგება პიტერსი.

— უბრალოდ, მაინტერესებს. თანაც როგორი ახალგაზრდები არიან ჩათრეული ამ საქმეში, თითქმის ნორჩები! ზოგიერთს სახეზე ჯერ კიდევ არ წარხოცია კდემის ნიშატი.

— სამწუხაროდ, ასეა! — დამიდასტურა პიტერსმა. — თანაც ფირებზე ხშირად აღბეჭდილია პირველი შეცდომების, სექსის ხატანასთან პირველი ფილისყრის მომენტი..., როგორ ფიქრობთ, საიდან არიან და ვინ არიან ეს მშვენიერი გოგონები?

შეატყო, პასუხი გამიძნელდებოდა და მაშინვე განაგრძო:

— მეტწილად სოფლიდან ჩამოსულები... დიახ, დიახ!.. მათ ტანს ჯერაც ასდით ბიბინა საძოვრებისა და უმი რძის სურნელი. — პიტერსი უკვე დაუფარავი გულისტკივილით ლაპარაკობდა. — უნდა გატკივინებულ გოგოს გათხოვება, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. მზითევი არა აქვს, ან საქმრო ჰყავს ხელმოკლე, ღარიბი... და აი, უიმედო ფიქრებით თავმობეზრებული, ერთ მშვენიერ დღეს დაკქრავს ფეხს და თავს ამოყოფს ოტერდამში თუ ჰააგაში. რომ ჰკითხოთ, შინამოსამსახურედ უნდა დავუდგე ვინმესო, თუმცა კარგად იცის, თავს იტყუებს... მშობლებიც ვითომ, ვერაფერს ხვდებიან... და ეს გოგო, დავარქვათ მას ელზა, ვინმე ნაცნობს შეეკედლება დროებით. ამასობაში საქმის ხალხიც გამოჩნდება. შეათვალიერებენ ჩვენს ელზას და თვალში თუ მოუვიდათ, იწყვიტენ საქმეს. ჯერ ფრთხილად შეაპარებენ: ვნახოთ ეს ჩემი ახალი კაბა როგორ მოგადგება ტანზეო. შეხე, რა ლამაზი ყოფილაო, რა ტან-ფეხის პატრონი, მოდი ერთი სურათიც გადაგიღოთ, შემდეგ საბანაო კოსტიუმის ჩაცმაზედაც დაიყოლიებენ. თანდათან ასე აჩვევენ ხორცის გაშიშვლებას, ურცხვობას. და, ბოლოს, მაცდუნებელ სარფად წინადადებასაც შეაპარებენ. თან ფიცით ავსებენ: ფილმი, რომელშიც მას გადაიღებენ, იტრიალებს მხოლოდ მდიდრულ კაფეებსა და ღამის კლუბებში. ელზას ახლობლები თუ საქმრო, სადღაც სოფელში რომ ცხოვრობენ, ასეთ ადგილებში საერთოდ არ დადიან... თანაც, თუ საღად ვიმსჯელებთ, ელზა დასაკარგავის მეტს არაფერს კარგავს... თუ ელზა გაჯიქდა, ცოტ-ცოტად უმატებენ გასაამრჯელოს. კოსმეტიკოსების მომზელიებსაც კპირდებიან: სახეს ისე შეგიცვლით, მშობელი დედაც ვერ გიცნობთო. ბოლოს და ბოლოს ცდუნება ჭრის. მით უმეტეს, თუ სუფრელის შემოხვევაში შესაძლოა სოფელს დაუბრუნდე გამდიდრებულ-გალამაზებული... უფრო ხშირად ასეც ხდება. უკვე ფულის ქისიან, თვალისმომჭრელად გათქვეფილ-გაბრწყინვებულ ელზას ხელს ახირებულად ვერავინ ჰკრავს... რას იზამთ, ასეთია ცხოვრება!

ასეთია ცხოვრება!

გამლილ ოკეანეში კიდევ ერთხელ გავიგონე მწარე სიტყვები, წამსდარ საქმეზე ძველთაგანვე რომ იშვეიფებენ ხოლმე.

— თქვენ ვინახავთ გულამოცლილი კაცის ქანდაკება როტერდამში? — მომიბრუნდა პიტერსი კარკასნის დუშილის შემდეგ.

— რა თქმა უნდა!

პიტერსმა მწარედ ჩაიღიმა, ხელი ჩაიქნია და წამოდგა.

თვალი გავაყოლე. ეჭვი თუ ვარაუდი, როტერდამში საცხოვრებლად გადასულ მის სატრფოს რომ უკავშირდებოდა, გამძლეიერდა. ხხვანაირად რატომ უნდა ეთქვა საბრალო პიტერსს ის მწარე სიტყვები?!

სალონში გრიალებდა საესტრადო ორკესტრი.

ტურისტები უზრუნველად ნებივრობდნენ საკარძლებში. ისმოდა მბიარული საუბარი და სიცილ-კისკისი.

ელექტრობის შუაზე სარკესავით აპრიალებულ თითბრის საცეკვაო მოედანზე თავიანთ ფერად ორეულებთან ერთად ირეოდნენ წყვილები.

სალონის ფართო ფანჯრებში კი იმზირებოდა ტროპიკების კუნაპეტი ღამე.

ილია რურუა.

ხელოვნება მეგობრობის ენაა

მექსიკაში დიდი წარმატებით ჩაიარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებმა. თეატრმა, როგორც ინგლისის ბურუუაზიული გაზეთი წერს, ცხადყო ჩინებული კოლექტიური და ინდივიდუალური აქტიორული ტექნიკა.

ტამს უკრავენ ქართულ თეატრს

მაიკლ კოვენი
„ფაინენშლ ტაიმსი“
ლონდონი

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დასი, უდავოდ, საოცრებათა იყო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც წელს გაიმართა მექსიკის ქალაქ გუანახუატოში. ეს თეატრი, რომელსაც უდიდესი ეროვნული პოეტის სახელი ეწოდა, შეიქმნა 1921 წელს — სწორედ იმ წელს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ახლა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საოკეანესო თეატრია. იგი წარმატებით გამოდიოდა საზღვარგარეთ. გაისად გათვალისწინებულია მისი მონაწილეობა ბელგრადის ტრადიციულ თეატრალურ ფესტივალში. ასე რომ, ეფიქრობ, კარგი იქნება, თუ ლონდონის ერთადერთი თეატრი იცდება თავის სცენაზე საგასტროლოდ ჩამოიყვანოს ეს კოლექტივი.

მექსიკაში ქართველმა თეატრმა ჩამოიტანა ორი დადგმა: ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. „კავკასიური ცარცის წრე“ საბჭოთა კავშირში ბრეხტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიესაა. თბილისის თეატრის დადგმა იქნება ალბათ ამ ტანჯვა მიაყენებს გრეშეს, როცა იგი მთაში გარბოდა. ამიტომ ნაცნობი ეპიზოდებიც არნახულ ძალასა და ბრძოლებს ეძლევა. ეს ბრძოლა ეროვნული ბედნიერებისა და ძველი ფეოდალების ფეოდალურ ფეოდალ ფეოდალ ფეოდალ

მიეცა ნიჭსა გზა ფართო...

უგამოცდოდ — უმაღლეს სასწავლებელში

თბილისის ორმოცდამეშვიდე საშუალო სკოლის დამთავრებია შემდეგ ბევრი თანატოლის მსგავსად მან სწავლას გასაგრძელებლად უნივერსიტეტს მიაშურა და წესისამებრ პირველ გამოცდაზე გამოცხადდა. მაგრამ... **მერაბ ვახტანგის ძე ღაღანიძეს** განუცხადეს, რომ იგი თბილისის უნივერსიტეტში უკვე უგამოცდოდ ჩარიცხულია და რომ დღეიდან იგი ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

უგამოცდოდ?!

დიახ თუმცა საქმის ეთიკრებას თუ ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ მერაბმა უფრო დიდი და ამომწურავი გამოცდა ჩაბარა. ექვსი წელი იგი თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრეების წევრად ირიცხებოდა.

ეუყაიდი შრომა, სამეცნიერო საკითხთა ორიგინალური განვითარება, საინტერესო ლოგიკური დასკვნები, კვლევითი მუშაობის ალღო, აი ის თვისებები, რომელმაც მას უმაღლესი სასწავლებლის კარი უგამოცდოდ გაუღო.

აღფრთოვანება, ქება თუ აღმატებულ ხარისხში აყვანა ლიტონ სიტყვად ჩაჩება ხოლმე, თუ მას საბუთი არ მოსდევს. ჩვენც შეეცდებით წერილს სასიხარულო ყღერას თანავი სადავეები დაეჭიროთ და შრომა ფაქტების ენას მივმართოთ.

...მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითს ოცდამერვე რესპუბლიკურ კონფერენციაზე 1973 წელს წარმოადგინა თემა **„უცხოური საკუთარი სახელ-გვარები ქართულად“**, ერთი წლის მერე წაიკითხა მოხსენება **„დავით ალმაშენებლის გალმანი სინანულისა-ნის ენობრივი ანალიზი“** და იმაკე წელს ქართული ენის საუნჯის მესამე რესპუბლიკური შეკრებისეანარზე საჯაროდ დაიცვა თემა **„ქართული სწორენის რამდენიმე საკითხისათვის“**. ოცდამეათე რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას **„ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების ტექსტოლოგიური საკითხები“** თვალსაჩინო ქართველმა მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს. მომდევნო კონფერენციაზე მეცხრეკლასელმა მოსწავლემ წარმოდგენილ ნაშრომში **„ძველი ქართული მწერლობის ძეგლის „ქებაი ქართულისა ენისაი“-ს ავტორისა და თარიღის საკითხისათვის“** სარწმუნო მტკიცებით ექვი გამოთქვა იოვანე — ზოსიმეს ავტორობისა და ძეგლის ტრადიციულად მიჩნევის თარიღის მიმართ. აღნიშნული ნაშუშვრით დაინტერესდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა. მოსწავლის მოხსენება კათედრის სხდომაზე მოასმინეს. საკითხის ირგვლივ დასმული შეკითხვების შედეგად ცხადი გახდა მ. ღაღანიძის მეცნიერული კვლევის განსაკუთრებული მონაცემები.

წლეულს მან წაიკითხა ორი მოხსენება — **„დავით რეტორის ლექსიკონი“** და **„ეფეზისტყაოსნის მეორე სტროფის ერთი საკითხი“**.

საქართველოს მთა-ბარეში

შეხვედრა ომის ვეტერანებთან

ადიგენი. დიდი სმიდის სასოფლო კლუბში სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრა მოეწყო. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ხარშილაძე დამსწრეთ ესაუბრა ომში მონაწილე ადიგენელების ფაქტებზე.

შემდეგ სმიდისა და რწის სასოფლო კლუბთან არსებულმა აგიტმსატვრულმა ბრიგადამ გაამართა კონცერტი. დასასრულ, სამამულო ომის ვეტერანებს ფასიანი სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ლ. ტაბატაძე.

კონცერტები მშრომელთათვის

თელავი. გურჯაანის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა ეოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ცისარტყელამ“ ამას წინათ თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის კონცერტები გამართა. დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა ძველმა ქართულმა საცხურმა სიმღერებმა.

მ. ჭიჭიაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ ხაგუშაგო.

ჯიონერული ზაფხული

ქოგულეთში სანანპიროზე მდებარეობს პანსიონატი „ჩირაღდანი“, სადაც გაზის მრეწველობის მშრომელები ისვენებენ. საზაფხულოდ ჯანმრთელობის კერა ბავშვების განკარგულებაშია. 1800 პიონერი და მოსწავლე გაატარებს აქ თავის საზაფხულო დასვენებას.

სურათზე: პანსიონატ „ჩირაღდნის“ პიონერთა ბანაკი ქობულეთში. ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ავტომობილთა გზებზე



სურათზე: კურორტი ბიჟვინთა. გ. დადაჩიძის ფოტო.

ვილიციის კეთილი საქმეები

რაცა გუშაგები ფხიზლობენ...

ღამის ორი საათი იქნებოდა, ქალაქ გორის შინაგან საქმეთა განყოფილების მორიგეს რომ შეატყობინეს, წყაროს უბანში ბანდიტებმა მოქალაქე ნ. ნინიაშვილის ბინა გაძარცვესო.

ოპერატიული მუშაკი, რაკი ეს პროფესია აირჩია, მოუსვენარ და ძილგაძკრთალ ცხოვრებას შეჩვეული უხდა იყოს, მაგრამ განყოფილების უფროსი ავთანდილ გუმბარაშვილი, ახალჩაძინებული იყო, განყოფილებიდან რომ დაურეკეს, და ეინა ღამის უძინარს ძალიან დაეზარა ადგომა. ბუზღუნს, მოქნარებას და თვალების ფშვნეტას მინც არ მოპყოლია. საჯურაფოდ ჩაიცვა და ვიდრე მანქანა მიაკითხავდა, უკვე ქუჩაში იყო.

განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში ომარ ჯაფარიძე და საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი კლიმენტი გოგიჩაშვილი მას განყოფილებაში დახვდნენ, აქ იყვნენ აგრეთვე უბნის რწმუნებულება შამილ ხაჩიური და ზურაბ მაისურაძე, მალე მოვიდა ექსპერტი-კრიმინალისტი სტეფანე კარტაშიანიც.

დიდი თათბირი და სჯა-ბაასი არ გაუმართავთ. გამოჭკიფეს და ჯიპიკ თუ არა მორიგისაგან ყველაფერი, რისი გაგებაც წინასწარ შეიძლებოდა მომხდარი ბოროტმოქმედების გარშემო, მაშინვე ადგილზე გაეშურნენ.

გაძარცულ ბინაში ისე იყო გადაქექილ-გადაქოთეული ყველაფერი, კაცი ეზას ვერ გაიგებდა, სახლის პატრონი, მარტოხელა, ხანდაზმული ქალი ენას ძლივს იბრუნებდა, შიშნაჭამი და ნაცემ-ნაბეგვი იყო. როცა გაამხნევეს, წყალი დაალევინეს და მოსულიერეს, ყვნენა-სვენებით, „ნაწყვიტ-ნაწყვეტად მოპყვა, რაც მოხდარიყო.

ათი საათი იქნებოდა, ის-ის იყო დაწოლას ვაპირებდი, მოულოდნელად სამი უცნობი რომ დამადგა თავზეო, სახეზე ნიღბები ჰქონდათ აფარებული და რევოლვერებით და დანებით იყვნენ შეიარაღებული, დაეგირებაც ვერ მოვასწარი, ისე მეცხენ, პირში რადაც ჩამჩარეს და ხელ-ფეხი შემიკრესო, ფული მოიტა, ფული სადა გაქვს შეხახული, ახლავე გვითხარი, თორემ მოგაკლავთო, მეფუქრებოდნენ. თან მეცემდნენ და დანებით მეხვლეტდნენ.

ეს იყო და ეს, რისი გაგებაც დაზარალებულისაგან შეძლეს. ისე იყო გოგონებული, ქალმა ისიც არ იცოდა დანაძდეულებით, რა წაიღეს უანაღებმა სახლიდან.

ეზოსა და სახლის დათვალიერებამ ოპერატიული ჯგუფის წევრები, დაარწმუნა, რომ ბანდიტებს ადგილზე არ დაუტოვებიათ რაიმე ხელმოსაკიდი ნიშნდობლიები კვალი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ძებნა და მიკვლევა. ექსპერტ-კრიმინალისტის სტეფანე კარტაშიანის ცდა და მეცადინეობა რომელიმე საგანზე თითების ანაბეჭდი მაინც ეპოვნა, ამაო გამოდგა, თუმცა დაზარალებული ამტკიცებდა ბანდიტებს ხელთათმანები არ ეცვათო.

ერთადერთი, რაც შეიძლებოდა ყაჩაღების ნაკვალევად ჩაგვეთვალა, ეს ნაფეხურები იყო, რაც გარკვევით მიუთითებდა, რომ ისინი დაზარალებულის სახლის ეზოში მეზობლის ეზოდან იყვნენ შემოსულნი. მაგრამ ნაფეხურები ნამრავლევ მიწაზე ისე მკვეთრად არ ეტყობოდა, რომ აქედან კრიმინალისტს რაიმე დასკვნის გამოტანა შეძლებოდა.

საგამომძიებლო ჯგუფის უფროსმა კლიმენტი გოგიჩაშვილმა ეს დეტალი (ის რომ ბანდიტები მეზობლის ეზოდან იყვნენ შესული საყაჩაღოდ ნ. ნინიაშვილის სახლში) უმნიშვნელოდ არ ჩათვალა, ბლოკნოტში ჩაინიშნა და დილით ინათა თუ არა, კვლავ ამჯერად მარტო მივიდა ადგილის დასათვალიერებლად. ჩიუარ-ჩამოუარა დაზარალებულის და მეზობლის ეზოებს, გულდასმით გასინჯა ღობე და ჭიშკარი და დარწმუნდა, რომ დაზარალებულის ეზობლის — ლომიძის ეზოში შესვლა არც ნაკლებ ძნელი იყო, არც ნაკლებ სახიფათო უცხო კაცისათვის, მაშ რატომ პირდაპირ გასაძარცვიან ეზოში არ შეიდნენ ბანდიტები? ჯერ ლომიძის ეზოში შეიპარნენ, ხოლო აქედან კვლავ ალი დაბრკოლების — სამეზობლო ღობის გადალახვა მოუხდათ.

ეს ეჭვი გოგიჩაშვილმა გახადოფილების, უფროსს გუშარაშვილს რომ გაუზიარა, ბანაკ ავერი დაუკრა:

— მართალი ხარ, მეც ვიფიქრე ეს. თანაც თუ დაუკვირდი, ლომიძის ბიჭი, აი ისა, გურამს რომ უძახიან, საეჭვოდ იქცეოდა წუხელ.

— მეც შევამჩნიე რაღაც დაბნეული და შემკრთალი იყო. ფერი არ ედო სახეზე... ხომ არ მოგვეყვანა განყოფილებაში?

— არა, ჯერ არა, ცოტა დავიცადოთ, — თქვა ავთანდილ გუმბარაშვილმა, — სიგარეტს მოუკიდა და მცირე ხნის შედეგ დაუმატა, — ეგ ნასამართლევია ირა?

— კი, იყო.

ეჭვმტანანი კიდევ რამდენიმე კაცი იყო, მაგრამ მარტო ეკვით ბოროტმოქმედს ვერ იპოვნი, ხელმოსაკიდი უნდა გქონდეს რამე, რასაც მტკიცედ ჩაეჭიდები და ბოროტმოქმედს ხელთა ამოაცეკვავებ ბელიით მოცული მორეგიდან. ძაფის სწორედ ეს ხელმოსაკიდი წვეტი არ ჩანდა. კარგახანია გორში ყაჩაღობა და ბინის გაძარცვა არ მომზდარიყო და რაც ადრე მოხდა, „ხელწერით“, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე, არ ჰგავდა წინანდელს. არა, თვითონ ფეხთამდე შეიარაღებული ეს ნიღბიანი ბანდიტები განყოფილების მუშაკების „ძველი ნაცობებები“ არ იყვნენ. მაინც ამ კრიტიკულ მომენტში ყველა საეჭვო პირი გაიხსენეს, ჩოიკითხეს მათი პირადი საქმეები გადაქექეს და ჯაიგეს, ვინ სად იყო, რა მოსაქმეობას ეწეოდა ამ უკანასკნელ პერიოდში. მერე ისევ დაზარალებულის მეზობელს გურამ ლომიძეს მიუბრუნდნენ და დაიზუსტეს, ვისთან დადიოდა, ვისთან ეგალობრობდა იგი ბოლო დროს.

გამოირკვა, რომ ამ დღეებში გურამ ლომიძე, რომელიც გორის ავტოსაწარმოო გაერთიანების მძღოლად მუშაობდა, სალამოობით ხშირად ატარებდა დროს ნოგზარ აპრესოვთან ერთად. ერთად ქეიფობდნენ, ისინი ერთად დასეირნობდნენ ქალებთან.

აა!... ეს ხომ ის აპრესოვია, სტალინსკი დანამუშევარსთვის ორჯერ რომ არის ნასამართლევი, 15 წელი აქვს გატარებული პატიმრობაში, თანაც გარეგანული ნიშნებით — ტანადობით, მიმოხრით — მისი გარეგნობა ძალიან ემთხვეოდა დაზარალებულს მიერ აღწერილს, იმ სამ ბანდიტთაგან ერთ-ერთს — ატაშანს გარეგნობას.

მეორე დღეს ნ. აპრესოვი განყოფილებაში მოიყვანეს. პირველად მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალიან შეეშინებოდეს. ოპერაციაში ექტიური მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე ქალაქ გორის ბავშვთა ოთახის ინსპექტორმა ემზარ ბუთხუზმა, წინასწარი დაკავების საკნის უფროსმა ოთარ გოდალაძემ და სხვებმა.

ძნელი და ძმიმე საქმეა ავკაცობასთან და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა, საპატიო და საშური საქმეა ეცავდე ადამიანთა მყუდროებასა და სიმშვიდეს. და მადლობისა და დიფსანების ღირსნი ამიან ისინი, ვინც პატიოსნად ასრულებს ამ საპატიო მოვალეობას.

მ. მიქაძე.

სპორტული მიმოხილვა

ლენინგრადის შემდეგ

18 დიდოსტატის ტურნირი ლენინგრადში კიდევ დიდხანს მიიპყრობს საჭადრაკო მომხმარებლების ყურადღებას. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიმძაფრით და უდავოდ იყო 1977 წლის საჭადრაკო სეზონის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება.

რა შეიძლება ითქვას მის შედეგებზე? რა თქმა უნდა, ის ამბავი, რომ პირველი-მეორე ადგილები მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა და დიდოსტატმა რომანიშინმა გაიყვეს, ორივე მათგანის დიდ ტრიუმფად უნდა მივიჩნიოთ. მსოფლიოს ჩემპიონისაგან ყოველ შეჯიბრებაში პირველ ადგილს მოელიან, თუმცა ისიც ნათელია, რომ იგი ყოველთვის პირველი ვერ იქნება. კარპოვს განსაკვეფრებელი სატურნირო წარმატებები აქვს, მაგრამ ლენინგრადში მაინც ვერ ითამაშა თავისი შესაძლებლობებ ი თ. რა იყო ამის მიზეზი? ტურნირში გამაჯერებელ რომანიშინს მიაჩნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი კოტა არ იყოს გადაღლილი გამოიყურებოდა. რაც შეეხება ვაპანიანს, მან უდავოდ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი დამთავრდა, მაგრამ შეჯიბრებებით მდიდარი საჭადრაკო სეზონი გრძელდება. 29 ივლისს ბუდაპეშტში დაიწყო მორიგი „ტუნგრამ-ტურნირი“ მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობით. გაფრინდაშვილი სპეციალურად ემზადებოდა ეროთა ამ დიდი ასპარეზობისათვის, ამ მიზნით პიანინოში (ესტონეთი) ეაეთა საკავშირო ტურნირშიც კი ითამაშა. ბუდაპეშტში გამოდის უნგრეთის ყველა უძლიერესი დიდოსტატი (ცხადია, პრეტენდენტთა მატჩი დაკავებული პორტიძის გარდა) და უძლიერესი საზღვარგარეთელი დიდოსტ ატ ე ბ ი. ასეთი ძლიერ „გარემოცვაში“ ნონას მორიგი გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, რომ მან დიდოსტატის ბალის მოსაპოვებლად უნდა ებრძოლოს. ამჯერად მასთან ერთად ტურნირში გამოდის მისი მწვრთნელიც — დიდოსტატი გალსლისი. ეს „დუეტი“ კი, როგორც ვიცით, არა მარტო წარმატებით აწარმოებს „ლაბორატორიულ სამუშაოს“, არამ ე დ ასევე წარმატებით გამ ო დ ი ს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში. წლეულს ნონას სხვა მეტად სერიოზულ ასპარეზობებშიც მოუხდება გამოსვლა. ოქტომბერში იგი ითამაშებს ვეიკერო გოგლიძის მორიგ მემორიალში, სადაც ასევე დაწესებული იქნება დიდოსტატის ბალის ნორმა, წლის მიწურულში კი გამოვა ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ლვოვში გაიმართება. ამ ტურნირში ამირებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ნანა აღაშვილი.

ამასობაში მსოფლიოს პირველობის ოთხი პრეტენდენტი ქალი განაგრძობს მზადებას ნა-

და აი ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ფილიპს მხოლოდ ნახევარი ქულით (ერთი გადადებული პარტიით) ჩამორჩება საბჭოთა დიდოსტატი ბრონშტეინი. ფილიპს სამი ქულა აქვს ოთხი შესაძლებლობიდან, გიბსლიხს 2,5 ქულა აქვს, გაფრინდაშვილს — 1,5.

მეორე ტურში ბრონშტეინმა მოუგო ბლეკსტოკს (ინგლისი),

პრეტენდენტთა მატჩზე

ევიანში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებს ორჩხოლია და ბოლუგაევსკის ნახევარფინალური მატჩის მეთერთმეტე პარტიაც ყაიმით დამთავრდა. წინ არის ორჩხოლია — 7,5:3,5.

ბაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდების მორიგი შეხვედრებ. გაეცნობებთ შედეგებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: სოხუმის „დინამო“-ბათუმის „დინამო“ — 0:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“-გორის „დილა“ — 3:1, ლანჩხუთის „გორია“-ზუგდიდის „დინამო“ — 2:2, თბილისის „სპარტაკი“-ერევნის „სკიფი“ — 2:2.

ფრე თეიერაანში

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებისა და ირანის ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. მასპინძელთა კარში ერთადერთი ბურთი 39-ე წუთზე გაიტანა რამაზ შენგელიამ.

გიპსლისმა და **გაფრინდაშვილმა** **ყაიმით** **დაამთავრეს** **პარტიები** **ერთმანეთან** **და** **შემდეგთან.** **მესამე** **ტურში** **სამიავემ** **ყაიმით** **დამთავრა** **შეხვედრები.** **ბრონშტეინმა** — **ფილიპთან,** **გიბსლიხმა** — **ორნსტეინთან,** **გაფრინდაშვილმა** — **საქმთან.** **მეოთხე** **ტურში** **გიბსლიხმა** **მოუგო** **ჩომს.** **გაფრინდაშვილმა** **წააგო** **რაინთან** **(უნგრეთი).** **ბრონშტეინმა** **გადადო** **პარტია** **ლუკაჩთან** **(უნგრეთი).**

ფეხბურთი

მეორე ლიგაში

ბაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდების მორიგი შეხვედრებ. გაეცნობებთ შედეგებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: სოხუმის „დინამო“-ბათუმის „ლოკომოტივი“ — 0:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“-გორის „დილა“ — 3:1, ლანჩხუთის „გორია“-ზუგდიდის „დინამო“ — 2:2, თბილისის „სპარტაკი“-ერევნის „სკიფი“ — 2:2.

ფრე თეიერაანში

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებისა და ირანის ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. მასპინძელთა კარში ერთადერთი ბურთი 39-ე წუთზე გაიტანა რამაზ შენგელიამ.

ეროვნული ბრძოლისადმი ერთგული ინდუსტრიის“ პრიზზე

თბილისსა და რუსთავში

„ლოკომოტივის“ სტადიონზე გუშინ გაიმართა რეგბლისტთა მეოთხე საერთაშორისო ტურნირის მესამე ტურის კალენდარული მატჩები ვახტან „სოციალისტინესკაიას“ ინდუსტრიას“ პრიზზე.

საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა პირველი ნახევარი 13:3 მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ორ დაუთმიათ ინიციატივა და გამარჯვეს — 39:12.

დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა, კარგად ითამაშა რუმინეთის გუნდთან და გაიმარჯვა — 20:9. გუშინდილიდან რუსთავში, „მეტალურგის“ სტადიონზე პოლონეთის ნაკრებმა 19:4 დაამარცხა სსრ კავშირის მეორე გუნდი. სამი ტურის შემდეგ ასპარეზობას 6-6 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის გუნდები. ხვალ მეოთხე ტურია.

ყაყალბური

მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვის (ინტერნაციონალ ბულვარი) ბურთულაობის საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი. მოხდა პირველი სეანსიცა — ბულგარელმა წყალტუბელებმა დამარცხეს მონრეალის ოლიმპიადის ბრონზეაოს ჯერ-ბრონზეაო — ჰოლანდიის გუნდი — 6:4. სინტერესოა, რომ ამ დღეს ასეთი ანგარიშით დამთავრდა დანარჩენი ორი შეხვედრაც — იუგოსლავიის ნაკრებმა დამარცხა კუბის გუნდი, ხოლო სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა — მეორე ნაკრები.

დასკვნითი თამაშების წინ გუნდების მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი-I — შვიდი ქულა, იუგოსლავია — ნ. კუბა — 4, სსრ კავშირი-II — 3, ჰოლანდია და ბულგარეთი — ორ-ორი ქულა.

მოკლედ

მუვილდოსნობა. კლაიპედაში მთავრდება საკავშირო პირველობა ცალკეული ვარჯიშებში ოქროს მედლები ხვდათ: 70 მეტრზე — ვ. გინის (ლეტონია), ზეინინისო რუსტამოვას (დუშანბე); 60 მეტრზე ლიუდმილა შეკოტას (ირკუტსკი), 90 მეტრზე — ა. ფეინშტეინს (ოდესა). საერთო ჩათვლაში დასკვნითი ასპარეზობის წინ ლიდერი იყო ზ. რუსტამოვა და მელს დაბეგი (ჩიტა).

აშრმნობა. ტალინში თამამდება სსრ კავშირის თასი. „ზვიოზდნის“ კლასში მეტოქეობა ვერავინ გაუწია მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონსა და მონრეალის ვერცხლის პრიზიორს, კიეველ ვალენტინ მანკინს. „470“ კლასის იხტიბების ასპარეზობაში გაიმარჯვა მიხეილ კუდრიავცევმა (მოსკოვის ოლქი), „ფინის“ კლასში — ბორის ზახაროვმა (ლენინგრადის ოლქი), „ტორნადოს“ კლასში — იაკობ კლეიერმა, „სოლინგის“ კლასში — ვიაჩესლავ მაქსიმოვმა (ორივე — ერევანი), „ფენინგი“ ჰოლანდიელის“ კლასში — ვლადიმერ ლონტიევმა (მოსკოვი).

სტამბოლში „ფინის“ კლასის იხტიბით ევროპის ჩემპიონატში სამი რბოლის შემდეგ მოსკოველი ა. ბალაშოვი მეოთხეა (27 საჯარიმო ქულა). ლიდერობს იუგოსლავიელი ფაბრის მინსკი (11 ქულა).

მძლეოსნობა. იუნინორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჰოლანდიის ქალაქ სიტარდში გამართულ ათეიდში ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალში ინგლისელმა დეიანე ტომპსონმა — 8124 ქულა.

კალათბურთი. საბჭოთა სტუდენტურმა გუნდმა, რომელიც სოფიის უნივერსიადისათვის ემზადება, გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირი „ვარნა-77“. ნაკრებმა (მის შემადგენლობაში რამდენიმე ოლიმპიელი ჩემპიონია) გადამწყვეტ მატჩში მოუგო ბულგარეთის გუნდს — 78:62 (45:24). მესამეა რუმინეთის ნაკრები.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ტელევიზია

3 ავგუსტო

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „იყო მაისი“, 15.35 — „შეხვედრა მწერალ ნოდარ დუმბაძესთან“ (მოსკოვიდან), 16.20 — „მეცნიერება დღეს“ (ფერადი. მოსკოვიდან), 16.50 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მზეთუნახავი“, 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ესტაფეტა“, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კონცერტი, 18.45 — „განვიხილავთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს“, 19.05 — „ბლობუსი“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „იეთიმ გურჯი“ (პირველი მოქმედება), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „იეთიმ გურჯი“ (მეორე მოქმედება), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი“ (ფერადი), 19.00 — კონცერტი, 19.30 — განცხადებები, 19.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მაიორი პუბალი“ (მეორე სერია).

ოსტანკინო

4 ავგუსტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ბანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „ჟრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მუზუკური მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ქეთო და კოტე“, 11.45 — რადიონარკვევი „შრომის ავანგარდში“, 12.15 „იეთიმ გურჯი“ (მეორე მოქმედება), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი“ (ფერადი), 19.00 — კონცერტი, 19.30 — განცხადებები, 19.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მაიორი პუბალი“ (მეორე სერია).

** კომუნისტი** **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 09975 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14